ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ცვეთის წრფივი მეთოდის გამოყენებით. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად გადაიხედება. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში

მანქანა-დანადგარები	5
საოფისე ტექნიკა	5
ავეჯი და ინვენტარი	5

ბ) სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიას ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია :

- საკრედიტო რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ექვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15 135 572	7 770 722
ფული და ფულის ექვივალენტები	1 532 681	2 398 828
	16 668 253	10 169 550
 ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	672 350	1 219 911
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	28 969 418	25 076 743
	29 641 768	26 296 654

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის.

ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა

მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის. რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი სესხებისთვის მერყეობს 6%-დან 20%-მდე რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთებს.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად მოახდინოს დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიას ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიი

შპს „ი-არ-სი დისტრიბუშენ ჯორჯია“
2023 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
(ლარში, დამრგვალებულია ერთეულებამდე)

კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, საბანკო დეპოზიტებიდან და ფული და ფულის ექვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს (გარდა ნაღდი ფულისა):

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15 135 572	7 770 772
ფული და ფულის ექვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	1 532 681	2 398 828
	16 668 253	10 169 550

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება (ექვივალენტი ლარში) 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023		31.12.2022	
	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	328 507	1 408	1 083 931	45 727
	328 507	1408	1 083 931	45 727
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	672 350	-	1 219 911	-
	672 350	-	1 219 911	-
	1 000 857	1 408	2 303 842	45 727

სავალუტო პოზიცია

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიას მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარი		ევრო	
	ლარი/დოლარი	ლარი/დოლარი	ლარი/ევრო	ლარი/ევრო
	20%	-20%	20%	-20%
მოგება/ზარალი	65 701	(65 701)	282	(-282)

2022 წლის 31 დეკემბრისათვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	აშშ დოლარი		ევრო	
	ლარი/დოლარი	ლარი/დოლარი	ლარი/ევრო	ლარი/ევრო
	20%	-20%	20%	-20%
მოგება/ზარალი	460 768	(-460 768)	9145	(-9145)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

ლიკვიდურობის ანალიზი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	28 969 418			28 969 418
მიღებული სესხები	672 350			672 350
	29 641 768	0		29 641 768

	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25 076 743			25 076 536
მიღებული სესხები	1 219 911			1 219 911
	26 296 654			26 295 447

შპს „ი-არ-სი დისტრიბუშენ ჯორჯია“
2023 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
(ლარში)

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ მას გააჩნია საკმარისი ლიკვიდობა, რომ შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული სისტემები)	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2020 წლის 31 დეკემბრისათვის	33 955	50 149	37 835	121 939
შემენა	1 583	16 011	992	18 586
გასვლა				
2021 წლის 31 დეკემბრისათვის	35 539	66 160	38 827	140 525
შემენა	7 178	32 618	1 148	40 944
გასვლა				
2022 წლის 31 დეკემბრისათვის	42 717	98 777	39 975	181 469
შემენა	8 431	36 740	65 227	110 397
გასვლა	(98)	(14 583)		(14 681)
2023 წლის 31 დეკემბრისათვის	51 049	120 934	105 201	277 185
2020 წლის 31 დეკემბრისათვის	(8 410)	(7 182)	(9 506)	(25 098)
ცვეთა	(6 882)	(11 448)	(7 675)	(26 005)
გასვლის დაგროვილი ცვეთა				
2021 წლის 31 დეკემბრისათვის	(15 292)	(18 629)	(17 181)	(51 102)
ცვეთა	(7 868)	(15 893)	(7 808)	(31 569)
2022 წლის 31 დეკემბრისათვის	(23 160)	(34 522)	(24 989)	(82 672)
ცვეთა	(6 050)	(12 978)	(11 872)	(30 900)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2021 წლის 31 დეკემბრისათვის	20 247	47 530	21 645	89 423
2022 წლის 31 დეკემბრისათვის	19 556	64 255	14 986	98 797
2023 წლის 31 დეკემბრისათვის	21 839	73 434	68 340	163 612

შპს „ი-არ-სი დისტრიბუშენ ჯორჯია“
2023 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
(ლარში)

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	არამატერიალური აქტივები		სულ
2020 წლის 31 დეკემბრისათვის	2 856		2 856
2021 წლის 31 დეკემბრისათვის	2 856	-	2 856
2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2 856		2 856
2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2 856	1 178	4 034
2020 წლის 31 დეკემბრისათვის	(319)		(319)
ცვეთა			-
2021 წლის 31 დეკემბრისათვის	(286)		(286)
ცვეთა			
2022 წლის 31 დეკემბრისათვის	(286)		(286)
ცვეთა			
2023 წლის 31 დეკემბრისათვის	(345)		(345)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2021 წლის 31 დეკემბრისათვის	2 251	-	2 251
2022 წლის 31 დეკემბრისათვის	1 965	-	1 965
2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2 798		2 798

6. მარაგები

მარაგები 2023 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
საქონელი	13 742 494	17 772 775
სხვა სასაქონლო -მატერიალური მარაგები	494	328
სულ მარაგები	13 742 988	17 773 103

შპს „ი-არ-სი დისტრიბუშენ ჯორჯია“
2023 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
(ლარიში)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	15 136 806	7 862 576
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	79 355	501 041
საექვო ვალების ანარიცხები	(1 234)	(91 853)
საგადასახადო მოთხოვნები	11 011	215 778
სხვა მოთხოვნა	941	931
	15 226 879	8 488 473

სავაჭრო მოთხოვნები არის უპროცენტო ფინანსური აქტივები . სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო. ახალი მომხმარებლისთვის საკრედიტო ლიმიტის შეთავაზებისას კომპანია განიხილავს მომხმარებლის საგადასახადო შესაძლებლობას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	გაუფასურების განაკვეთი	გაუფასურება 2023
მიმდინარე	13 791 372		
0-90 დღით ვადაგადაცილებული	1 325 839		
91-180 დღით ვადაგადაცილებული	17 614	0,10	1 761
181-360 დღით ვადაგადაცილებული	5 015	0,50	2 507
360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	86 350	1,00	86 350
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15 226 190		90 619
გაუფასურების რეზერვი	(90 619)		
წმინდა მოთხოვნები	15 135 571		

შპს „ი-არ-სი დისტრიბუშენ ჯორჯია“
2023 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
(ლარიში)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალონელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31.12.2022	გაუფასურების განაკვეთი	გაუფასურება 31.12.2022
მიმდინარე	7 601 816		
0-90 დღით ვადაგადაცილებული	133 966	-	-
91-180 დღით ვადაგადაცილებული	30 415	0,1	3 042
181-360 დღით ვადაგადაცილებული	15 136	0,5	7 568
360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	81 244	1,0	81 244
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7 862 577	7 862 577	91 854
გაუფასურების რეზერვი	(91 854)		
წმინდა მოთხოვნები	7 770 724		

1-დან 365 დღემდე ვადაგადაცილებული მოთხოვნების გაუფასურების მოცულობა გაიანგარიშება წარსული გამოცდილების საფუძველზე, რომელიც გადაიხედება რეგულარულად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით.

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
ბალანსი წლის დასაწყისში	(91 854)	(33 139)	-
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	1 235	(58 715)	(33 139)
სულ 31 დეკემბრის მდგომარეობით	(90 619)	(91 854)	(33 139)

ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ შექმნილი რეზერვები საკმარისია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ასახვისათვის. გაუფასურების ხარჯი წარმოდგენილია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2023 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1 202 767	1 269 169
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	329 914	1 129 659
	1 532 681	2 398 828

შპს „ი-არ-სი დისტრიბუშენ ჯორჯია“
2023 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
(ლარიში)

9. სასესხო ვალდებულებები

მიღებული სესხები 2023 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სესხები პარტნიორისგან		1 219 911
სულ გრძელვადიანი სესხები	-	1 219 911
სესხები პარტნიორისგან	672 350	
სულ მიმდინარე სესხები	672 350	-
სულ სესხები	672 350	1 219 911

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	28 969 418	24 444 865
მიღებული ავანსები	62 266	435 472
სხვა ვალდებულებები	58 178	196 406
	29 089 862	25 076 743

11. შემოსავლები

შემოსავლები 2023 წლის 1 იანვრისა 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან	26 451 656	26 698 566
შემოსავალი ექსპორტიდან	26 097 227	18 197 693
	52 548 882	44 896 259

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2023 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება (ადგილობრივიდან)	25 692 036	25 158 935
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება (ექსპორტიდან)	24 288 646	16 804 770
	49 980 682	41 963 705

13. მოწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები

მოწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები 2023 წლის 1 იანვრისა 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ტრანსპორტირებისა და მიწოდების ხარჯები	388 272	1 684 676
რეკლამის ხარჯები	285 917	291 139
გაყიდვების ხარჯები	2 145 278	196 483
	2 819 467	2 172 298

14. საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები 2023 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრისა მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
შრომის ანაზღაურება (ადმინისტრაცია)	518 539	417 019
იჯარის ხარჯი	312 164	281 225
დებიტორული დავალიანების გაუფასურება	(90 619)	58 715
საპენსიო შენატანის ხარჯი 2%	44 084	34 827
ძირითადი საშუალებების ცვეთა	39 359	31 569
საკონსულტაციო ხარჯი	148 864	29 771
საკანცელარიო ხარჯი	1 806	22 119
სატრანსპორტო ხარჯი	28 116	17 974
საოფისე ხარჯი	22 127	15 254
ბუნებრივი აირის ხარჯი	15 799	12 335
დიზელის ხარჯი	8 873	11 317
ელექტროენერგიის ხარჯი	9 745	10 072
დაზღვევის ხარჯი	24 614	8 669
ინტერნეტის ხარჯი	15 215	7 322
დასუფთავების ხარჯი	3 926	7 247
საცხოვრებლის ხარჯი (მივლინება)	39 814	6 245
კომპიუტერის საექსპლუატაციო ხარჯი	3 276	2 646
წყლის ხარჯი	2 517	2 281
საკურიერო/საფოსტო მომსახურება	468	815
ბროკერის მომსახურება	5 756	568
სხვა ძს საექსპლუატაციო ხარჯი	61	407
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	345	286
	1 154 848	978 681

შპს „ი-არ-სი დისტრიბუშენ ჯორჯია“
2023 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
(ლარში)

15. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს კომპანიის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ, იურიდიულ ფორმას.

	31.12.2023	
	სხვა დაკავშირებული მხარე	სულ
დამფუძნებლები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9 919 743	9 919 743
საექვო ვალების რეზერვი		
წმიდა სავაჭრო მოთხოვნები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26 686 596	26 686 596
სესხები პარტნიორთან	678 756	678 756
შემოსავალი	13 527 935	13 527 935
ხარჯები	(38 265 004)	(38 265 004)

	31.12.2022	
	სხვა დაკავშირებული მხარე	სულ
დამფუძნებლები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 306 156	1 306 156
საექვო ვალების რეზერვი		-
წმიდა სავაჭრო მოთხოვნები		-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11 479 875	11 479 875
შემოსავალი	7 267 324	7 267 324
ხარჯები	(31 208 092)	(31 208 092)

ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია

ხელმძღვანელი პირების ხელფასები, ბონუსები და სხვა არაფულადი სარგებელი შესულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და 2023 წლის განმავლობაში შეადგენს 328 312 ლარს, ხოლო 2022 წელს 273 464 ლარს.

16. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის აგვისტოს თვეში მოხდა ცვლილება კომპანიის ხელმძღვანელობაში. კომპანიის დირექტორი გახდა ვალერიი სოქოლიქ (19890719-02468,FF003506-უკრაინა).

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

შპს ი-არ-სი დისტრიბუშენ ჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კომპანიის მიმოხილვა

შპს ი-არ-სი დისტრიბუშენ ჯორჯია დაარსდა 2019 წლის 13 აგვისტოს. კომპანიის 100 % წილის მესაკუთრეა ავსტრიის რეზიდენტი კომპანია შპს იარსი ჰოლდინგ. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, გ. კვიჭიძის 13ა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კომპიუტერული და საოჯახო ტექნიკის, აქსესუარების და სათამაშოების, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის იმპორტი და საბითუმო გაყიდვა.

სტრატეგია, განვითარების გეგმა

კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს ბაზარზე არსებულ მსხვილ პარტნიორებთან, რაც ხელს უწყობს ახალი პროექტების მოზიდვას და გაყიდვების ზრდას.

მიღწევები

2023 წელს გაიზარდა მოთხოვნა კომპიუტერულ ტექნიკასა და საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე. კომპანიამ გუნდური მუშაობით შეძლო გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება და შესაბამისად გაყიდვების მოცულობის ზრდა. კომპანიის მიზანია მომხმარებელს შესთავაზოს მუდმივად მზარდი ასორტიმენტი. კომპანია თანამშრომლობს ისეთ ბრენდებთან, როგორიცაა 2E, Ardesto, Razer, Acer, Dell, Asus, Kingston, Fortinet, Microsoft, Zalman, Gigaset, Lego, H3C და სხვ.

ფინანსური შედეგების მიმოხილვა და რისკების მენეჯმენტი

მომგებიანობის კოეფიციენტები

მომგებიანობის ანალიზი გვეხმარება გავიგოთ ბიზნესს რა მოგების გამომუშავება შეუძლია საკუთარი კაპიტალიდან.

შემოსავალი	2023	2022
შემოსავალი	52 548 882	44 896 259
	52 548 882	44 896 259
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		
	2023	2022
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(49 980 682)	(41 963 705)

საერთო მოგება	2023	2022
საერთო მოგება საქონლის რეალიზაციიდან	2 568 200	2 932 554
	2 568 200	2 932 554

საერთო მოგების მარჟა

საქონლის რეალიზაციიდან	5%	7%
მოსაზრება:		

რეალიზაციიდან მოგების მარჟა 2%-ით არის 2022 წ. შედარებით შემცირებული, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს 2022 წელთან შედარებით უცხოური ვალუტის დაბალი კურსით, ლარის გამყარებით. ეს დაშვება კეთდება იმ მოსაზრებით რომ საქონელის ღირებულება მიბმულია ვალუტის კურსთან.

პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი

პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი განსაზღვრავს რამდენად ადვილად შეუძლია ბიზნესს გადაიხადოს პროცენტები მიმდინარე, გადასახდელ სესხებზე.

პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი გამოითვლება ერთ მოცემულ პერიოდში ბიზნესის მოგების (პროცენტამდე და გადასახადებამდე (EBIT)) გაყოფით ბიზნესის საპროცენტო ხარჯებზე.

- პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი = მოგება პროცენტამდე ÷ საპროცენტო ხარჯები

მოგება საპროცენტო ხარჯების დაფარვამდე	2 568 200	2 932 554
საპროცენტო შემოსავლები	43 784	37 346
საპროცენტო ხარჯები	81 832	91 354
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	32	33

კომპანიისთვის სესხის პროცენტი არის უმნიშვნელო და არაარსებითი, იმდენად რომ საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანხიდან საპროცენტო შემოსავლებიც კი მრავალჯერ აღემატება საპროცენტო ხარჯს.

რისკები

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის ფინანსური ხარჯი, რომელიც წარმოიშვება როდესაც მყიდველი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. კომპანია 2023 წლის განმავლობაში არ იყენებდა საკრედიტო რისკის დაზღვევის არცერთ ფინანსურ ინსტრუმენტს. ყოველი მომხმარებლისთვის საკრედიტო პირობების დადასტურებამდე ხდება მისი ფინანსური მდგომარეობის შესწავლა.

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობა განსაზღვრავს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას მიმდინარე აქტივებით.

რისკის თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში მუდმივად ხდება მოკლევადიანი ფულადი მოძრაობის პროგნოზი და შესაბამისი დაგეგმვა.

სავალუტო რისკი - კომპანიის საქმიანობა დიდად არის დამოკიდებული უცხოურ ვალუტაზე, ვინაიდან პროდუქციის მომწოდებლების 100% უცხოური კომპანიებია. ასევე ფასების სტაბილურობა დამოკიდებულია გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2023 საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიაში აღგილი არ ჰქონია საკუთარი აქციების შეძენას.

ინფორმაცია კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ

2023 საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიაში აღგილი არ ჰქონია კვლევით სამუშაოებს. განვითარების მიმართულებით აღსანიშნავია მუდმივი სწრაფვა, რომ თანამშრომლებმა გაიარონ სხვადასხვა ტრეინინგები, რომლებსაც გვთავაზობს ჩვენი პარტნიორი ბრენდები. ასევე ტრეინინგები და პრეზენტაციები პერიოდულად უტარდებათ პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლებს ბრენდების მიერ შემოთავაზებული სიახლეების თაობაზე.

საკადრო პოლიტიკა და უსაფრთხოება

კომპანია ზრუნავს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოებაზე და კომფორტულ სამუშაო გარემოზე. დაცულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უსაფრთხოების ნორმა. 2023 წლის ბოლოს კომპანიაში მუშაობდა 37 თანამშრომელი, საიდანაც 17 ქალია.


ანტიკორუფციული პოლიტიკა

კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს ბიზნეს ეთიკის დაცვას როგორც კომპანიის შიგნით, ისე პარტნიორებთან ურთიერთობისას.

სხვა ფინანსური მაჩვენებლები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტში.

ორგანიზაციული სტრუქტურა

2023 საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანია წარმოდგენილი იყო შემდეგი სტრუქტურული სქემით:




შპს ი-არ-სი დისტრიბუშენის მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია 30.09.2024

დირექტორი

/ვ. სოქოლიძე/

ორგანიზაციული სტრუქტურა

2023 საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანია წარმოდგენილი იყო შემდეგი სტრუქტურული სქემით:



შპს ი-არ-სი დისტრიბუშენის მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია 30.09.2024

დირექტორი



/ვ. სოქოლიძე/